ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 125

ქალაქი ქუთაისი 28 სექტემბერი 2022 წელი

ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ – საგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ – სთან გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება და მიიღოს 225 000 (ორას ოცდახუთი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარის ოდენობის გრანტი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი • საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 221
28 09 2022 წ.